

ივერი

გაზეთის დასაყვებად და ვერო განცხადებ-
ბათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თეოდორ
რედაქციას, ახალ-ბეგუთოვის ქუჩაზე, სახ-
ლი № 9, შვედლოვის საგაზეთოს, ცენტრა-
ლურს ზე გრიქოვის წიგნების მაღაზიის.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი რვა კაპ.

გაზეთის ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ ქალის ივლისიდან წლის დამლევამდეღირს 6 მან.

ტფილისი, 23 ივნისი

ბოლგარის მთავარმა ალექსანდრემ ლამის ხელ-ახლად ამაღლოს და აწეწოს ადმოსავლეთის საქმე, რომლის მშვიდობიანს დაბოლოვებას თითქმის ჯერ გუშინაც დღესასწაულობდა დიპლომატია. ეგრე წინა დღით დღესასწაულობამ ტყუილ-უბრალოდ კი არ ჩაუბროს ევროპასა და მის დიპლომატიას. ალექსანდრე მთავრის მიერ თქმულმა სიტყვამ საერო კრებაში და საერო კრების საპასუხო ადრესმა ცუდი შედეგად იქონია ყველაზე და ზოგიერთი სახელმწიფოანი იძულებულ შეიქმნენ კიდევ, თავისი წუნი და სამდურავი გამოეცხადებინათ. საქმე ის არის, რომ ალექსანდრე მთავარს აბრალებენ, ევროპის განაჩენს გადუდგა, ორგანებური წესდება ბოლგარ-რუმელიისა დაარდვიო და ოსმალეთის უფლებასაც ეწინააღმდეგა. ზოგიერთმა სახელმწიფომ მიაკცია კიდევ თურმე სულ-

თანის კურადდება ბოლგარის მთავრის ამ გვარს ქცევაზე და ამასთანავე შესწავა კიდევ, რომ უსათუოდ შენც ემხრობი ალექსანდრე მთავარსაო, თორემ უშენოდ იგი ამისთანა ამბავს არ ჩაიდენდაო. რუსეთის დიპლომატიური გაზეთი „Journal de St.-Petersbourg“-ი დაუკვირდა ამ ამბავს და სთქვა, რომ ამისთანა საქციელი კარგს არას მოასწავებსო და უკველგვარი განსაცდელი საფიქრებელია და მოსალოდნელია.

ოსმალის თითქო უგრძნია, რომ გუშინ ჩემზედ მოუტანიათო და, გუშინწინდელს დეპუტს რომ დაუკვირეთ, თითქო ებოდიშება კიდევ ევროპასა, მე აქ არასფერს მუშაში ვარო. რა თქმა უნდა, რომ ოსმალს აქ დიდი სიფრთხილე ჰქმარებენ, თორემ, თუ ევროპა მოიმდურვა, ხერი არ დაეერება. ეს კარგად იცის ოსმალეთმა და ამიტომაც, გუშინწინდელის დეპუტის სიტყვით, ოსმალეთი ევროპას არწმუნებს, რომ ალექსანდრე მთავარმა დაარდვიო მორიგების ხელშეკრულობანი და ამაში მე ვასუნის მტეხელი არა ვარო. ოსმალეთი პირ-იქით ჰქირდება ევროპას, რომ მე სხვა სახელმწიფოებთან ერთად მზადა ვარ ვიმოქმედო, რომ ბოლგარის მთავრობამ გა-

ნაჩენი ევროპისა და ხელ-შეკრულობანი მტკიცედ და დაურდველად დაიცვასო. როგორც უტუობა ბოლგარ-რუმელიის საქმე, და მის გამო მთელის ბალკანის ნახევარ-კუნძულის საქმეც დღეს ისევ ამოიტვიტვა პოლიტიკის მდინარეობაში და თუ ხელ-მეორედ გადასაწყვეტად არა, მოსავლელად მინც გაუნდა ევროპასა. ამკარას, ალექსანდრე მთავარს ზურგთ უკან ვიდაც ძლიერი მოძრე უდგა და ის აქეზებს, თორემ აყად-მყადის ატეხას იგი მართოდ ვერ გაბედავდა. ვინ არის იგი მოძრე? აი საკითხავი, რომელზედაც დღეს გადაგებულია მთელი ქურნალ-გაზეთობა და ვერა გუგობა-რა კი გუდუდაჯერებით. ეს კი ყველამ იცის, რომ ინგლისი ისე გაბმულია თავის საკუთარს მინაურს საქმეში, რომ ძნელად თუ ბალკანის საქმეებისთვის ეხლა მოიცადოს, ამა-საც ამბობენ, ვითომც საფრანგეთი და რუსეთი ერთმანეთში მორიგებულან ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმეების თაობაზე და ამ შემთხვევაში ერთისა და იმავ აზრისანი არიანო. ამ სახით საგამათო ბურთი ოსმალისა, ავსტრიისა და გერმანიის შუა უნდა ეგდოს, თუ უკველივე ეს მართალია.

ახალი ამბავი

ბ-ნი დიმიტრი ფურცელაძე, რომელიც ხელმწიფის სასახლის სამინისტროსაგან გაგზავნილია კახეთში ძველთა ნაშთთა აღმოსაჩენად და აღსაწერად, ჩვენა ენახეთ ეხლანან ჩამოსული ქალაქში. მან გვიამბო, რომ სილნლის მახრის სოფელს ქერამში უსინჯავს სამარეები და აღმოუჩინა: ორი სამაჯე მინისა, სამი სამაჯე ბრინჯაოსი (ბროზა), ორი ცული ბრინჯაოსივე, ერთი ხმალი ბრინჯაოსი და მრავალი მძივი მასე უნახავს შუა მთაში ორი სახარება ხუცური. ერთი მეთერთმეტე, თუ მეთორმეტე საუკუნისაო, ტყავზე დაწერილია, სახარება სრულია, მხოლოდ მათეს სახარებას თავი აკლია და იოანესას—ბოლო. მეორე სახარება უფრო ახალია, ბ-ნ ფურცელაძის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მეთექვსმეტე, თუ მეშვიდმეტე საუკუნეს; ხუცურადვეა დაწერილი. ეს სახარება მეტად ღირს-შესანიშნავია თურმე მხატვრობითა. მათეს სახარებას წინ მიუძღვის ხატი თვით მათეს, მშვენიერად დახატული, წმიდა მათე საკვირვლად ჰგავს თურმე მთიულს ქართულს. ხატ შემოდამ ოთხ-კუთხედი არშია არის კარგა განიერი, არშიაზედ სწერია: სახარება მათესი ოქროს ვარაიოთა. ფერი ნახატისა მშვენი-

რად არის შენახული. ამასთანავე მხატვრობა და შედარწერა არის მარკოზის სახარების დასაწყისში, ხოლო სახე მარკოზისა არა ჰგავს ქართველს სახესს. ლუკას სახარებისა წინაც ყოფილა სურათი, თუ ხატი, მაგრამ ამოუგლეჯიათ. იოანეს სახარების წინ გამოსახულია მხოლოდ ქვედატანი; ეტყობაო, გვითხრა ბ-ნმა ფურცელაძემ: სხვა სურათილამ ამოგლეჯილია ეს ქვედა ტანი და აქ მიწებებულია.

კვირას, 23 ივნისს მუსულმანები ბაიანამსა დღესასწაულობდნენ. ტფილისში ამ დღეს დიდის აშბით ატარებენ. აღრიანად დილით მუსულმანები იკრიბებიან ბოტანიკურს ბაღში, აქ სუნიტების უმაღლესის სამღვდელთა წადების პირნი არიან შეკრებილნი და ჰლოცულობენ. ლოცვის დროს ზარბაზნებს ისერიან, რომელიც არსენალიდან გამოაქვთ ხოლმე. ყოველი მუსულმანი თავის მოვალეობადა ჰრაცხს, უქველად დაეხსროს ამ ლოცვას და თავისი წილი გარდასახალი შეიტანოს მეფეთის სახარებლოდ. ამ გარდასახადს ყოველწელს მუჭითა ჰნიშნავს. ამ წელს გარდასახლად სულზე 15 კაპეიკი იყო დანიშნული. ამავე დღეს მუსულმანებმა გამართეს არწრუნისეულს თეატრში მესამე თათრული წარმოდგენა. ამ ჟამად კი ახალი პიესა იყო და-

ფელეტონი

ზარდნი საპარტიმოლოში (ფრანგულია) (შემდგომი*)

როდესაც დაეხწიე თავი ამ მკარცელს, შევედი ბაღში. მ. ტეატინმა, რომელიც, როგორც ესთქვი, უკან მომდგა, ორის ძვირფასის ძველით სახეე პაკეტის ძებნის დროს, ყველას უამბო სახლში ჩემი უბედურობა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვითომ იმ ორმა მხლებელმა თვალი შემასწრო პაკეტების დამალვის დროს და იპოვეს კიდევ ის, რაც ისეთის გაჭირებით დავმალე. ერთი ჩემი მსახურთაგანი სომეხი ალავერა მომდგა თან; მე ვავოციდი, როდესაც ეს მსახური მომეხვია ყელზედ თვალ-ცრემლიანი და მითხრა: «ბატონო! დავილუბენითო!» საზოგადო შიშმა და უბედურებამ მთლად დაგავიწყდა, ვინ ვიყავით. მე ისე აშფოთებული ვიყავი, რომ ჩემი კაცი ჯერ მეგრული მეგონა და გულში ესთქვი, ამას უთუოდ ჩემი დარჩობა უნდა მეთქი. როდესაც ვიციან, გული ამიჩუყა იმისმა ერთგულობამ. ეუბრძანე, ნუ სტირი მეთქი. «ბატონო! მითხრა იმან:—კარგა კი მოაქმნეთო?» —იმდენი ვეძებე, მიუხეც მე, რომ სრულიად გადავიწყვიტე იმედი პოენი-

სა და ვგრძობ, რომ ყოვლად უბედური კაცი ვარ, მოსამსახურეს გულში არ დამშვიდდა. მითხრა, მაჩვენე ის ალავერა, სადაც პაკეტები გდამაქარდა, მიახმე, როგორ დამალე და რა ნაირად ეძებდი მეგრეთა. მე ვუამბე ყოველივე ამ საწყალსა, რომელმაც ესეთი ერთგულობა გამოიჩინა მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, რომ ტყუილად დაიწყებდა ძებნას და აღარც კი დაეუცადე. დაღამდა. ჯავრმა ისე შემიპყრა და ამაღელვა, რომ არ ვიცოდი, რასა ესაიდიოდი, სად მივდიოდი, რასა ვგრძობდი. სულ მთლად გავოციდი, როდესაც ის საწყალი ჩემი მოსამსახურე მეორედ მომეხვია ყელზედ და თან უბეში ჩამიღო ორი პაკეტი, რომელიც მე დაკარგულეები მეგონა. ადვილი წარმოვინა, როგორ გამახარა ამ სასიამოვნო გარემოებამ. გამახარა იმიტომ კი არა, რომ ვიპოვე ოც-და-ხუთი ათასი ეკიუ, არამედ იმიტომ უფრო, რომ ღმერთმა შემიბრალა და არ გამაუბედურა. ამ ფიქრმა ძალიან გამამხნევა. მაშინდელი ჩემი მდგომარეობა აღარ მაღონებდა, და აღარც მერმისის მწუხარება, რადგან დავრწმუნდი, რომ ღმერთი არ გამწირავს მეთქი. ეს რწმენა მაშინვედდა მას შემდეგ, როცა ფათერაკსა და განსაცდელს მივეცემოდი ხოლმე.

ნავს, რომ ძვირფასი პაკეტები ვიპოვე მეთქი. ჩემს ამხანაგს ცოტად მიეღობებინა ჩემი მიფუტკნოლ-მოფუტკნოლი საცოდავი ბინა. წველოთ ტანისამოსი, იარაღი, სპილენძი, ყაბანები და სხვა უბრალო ნივთები. ჩვენ გადავწყვიტეთ არ გავგეზობინა, რომ ის ორი დაკარგული პაკეტი ვიპოვეთ. გვიწოდდა ხალხი დაგვერწმუნებინა, რომ ვითომ აღარაფერი აღარ დავგერჩა. ამან ძალიან გვიმეღობა: ტეატინების მსახურებს ეგონათ, რომ მთლად გავცარცვეს მაშინ, როდესაც სულ ყველაფერი, რაც დავკარგეთ, ღვთის მადლით, მხოლოდ რამდენიმე ასი ეკიუ ჰქირდა.

24-ს დილით ტეატინების პრეფექტმა და მისმა ერის-კაცად ყოფილმა ძმამ საჩივლოდ წამიყვანეს კათალიკოსსა და მთავართანა. მითხრეს, ძღვენი მიართეთო. მე ვამტკიცებდი, რომ თუ გაცარცვასა და გაქურდვაზე ვიჩივლებ, ძღვენი რალა შუაში უნდა იყოს მეთქი. მაგრამ ჩვეულებამ თავისი გაიტანა, მივართვი კათალიკოსს ერთი დანის ქარქაში, ვერცხლის დანა-ჩანგალი და ქუდი, რომელიც თავით მითხრავა სხვის პირითა. კათალიკოსსა და ავრეთვე მთავარსაც ვაჩვენე საარსეთის მფვის ბრძანების ქალაქი და მისგან ბოძებული ბაშფორთი. მთავარს არ წარუდგინე საფრანგეთის ელჩის წერილი, რადგან ტეატინებმა მიჩიეს, რომ ეს საქირა არ არისო. არც ერთმა და არც მეორემ არაფრით არ დამაკმაყო-

ფილა. მთავარმა მითხრა, რომ ომიანობა ეხლა და კეთილშობილები ვერ დამიშორილებია, სხვა დროს კი კარგასა და ჩქარს სამართალს მოგცემილი; მაინც ჩემის მხრივ ღონის-ძიებას ვინმარებ, რომ დაგვიბრუნონ, რაც წაუერთმევიათო. კათალიკოსმაც ესეთივე საუბარი გამართა და შეველის მაგივრად ნუგეშინის ცემა დამიწყო. იმათ მანაც მომცეს თითო კაცი, და იმათის სახელით უნდა მეფეთბოენათ მკარცელებისთვის, რაც ჰქონდათ ჩვენგან წადებული.

ამ მიწყდომ-მოწყდომში შევიტყე, რომ თვითონ დადიანსაც მონაწილეობა ჰქონდა ჩემის ვაცარცვის საქმეში და ნაცარცვის მესამედი მიეღო. ამის გამო უფრო კარგა შევიტყე იმ ქვეყნის ხასიათი და ვითარება, სადაც ვიყავი და უფრო ნათლად დავინახე განსაცდელი, რომელიც ჩვენ გველოდა. ის ორი კეთილ-შობილი, რომლებიც შემწვობისათვის მოგვეცეს, ჩვენს წამოვიდნენ დასადგომად. უნდა ახლა ამათთვის მიგვერთობა ძღვენი. იმათ იმ დღეს და მეორე დღესაც ვითომ ძრიელ გამოიდეს თავი ჩვენსაშველად, მაგრამ მათი ცდილობა ამო შეიქმნა 26-ს საღამოს მოვიდნენ და გვითხრეს, რომ ვერაფერს გავხდითო, აღარ შეგვიძლიან ამ საქმეს მივიღოთო, რადგან ოსმალნი შესულან სამეგრელოში, სწავენ და იკლებენ ყველაფერს და იძულებული ვართ სწრაფად ვეახლნეთ ჩვენს ბატონებსაო.

მე ისე შევეჩვიე ყოველ-გვარ მოსალოდნელ განსაცდელს, რომ ამ ამბავმა არ შემადრწუნა. ტეატინები სასო-წარკვეთილებში ჩაკვიდნენ, რადგან ჰგრძობდნენ, რომ ოსმალების შემოსევა სულ ბოლოს მოუღებდა ამ საცოდავებს. ყველანი გასახიზნად მოვემზადენით. შულამისას ორჯელ გავიგონეთ ზარბაზნის ხმა: ეს იმის ნიშანი იყო, რომ მტერი მოუახლოვდა რუხების ციხესაო. თვით ზარბაზნების სროლა ამ ციხილამ თურმე ისმოდა. რაკი ეს შეიტყო ხალხმა, დაიწყო განიზნვა, იმათ მიჰქონდათ და მიჰყვანდათ თან ტყვებში და სიმარტეებში ყველაფერი, რის წადებაც და წაყვანაც კი შეეძლო.

27-ს განთიადისას ჩვენც სხვებსავეთ გასახიზნად წავედით. არაფერს არ ვახელ ხელი, რაც ან დაფულოლი იყო, ან დამალული, ან სახლის სართულში და ან სხვაგან. მე ვეფქრობდი, რომ ჩემი ძვირფასი საჩირო-საბადლებელი უფრო საიმელო ალაგას არის, ვიდრე იქ იქნება, საცა მიედევართ-მეთქი. ტეატინებს მარტო ერთი ურემი ჰქონდათ და ორი ცხენი ჰყვანდათ. ურემზედ იყო მთლად სახლის ავეჯი და ორიც პატარა ყმაწვილი; ერთ ცხენზე ერის კაცთაგანი ტეატინი იჯდა, მეორეზე—ჩემი ამხანავი, რომელიც ავად იყო. ეს გარემოება ძალიან გვაგვიანებდა და ჩქარა ვერ მივდიოდით. ორი ტეატინი და მე ფეხით მივდევდით ურემს. მონები და მთლად სახლის მსახურები მოგვედ-

* იხილეთ „ივერია“ № 129

გმული: M—ზე ქორდანი, ბოტანიკი და დავრი ში—მასტალი-შაპი, გან-თქმული „ჯალაქარი“, კომედია 4 მოქმედებად, თხზ. მიჩა-ჭეტალი ახუნდოვისა. ანტრაქტებში აბდულ-ბალი ჰმლორდა. წარმოადგენს საკმაო ხალხი დაეწრო, მაგრამ, საუბედუ-როდ, მუსულმანები ჯერ შეჩვეულნი არ არიან თეატრში სიარულს.

* * * ერთს გარემოებას უნდა მი-ვაქციოთ სანიტარული კომისიის ყუ-რადლება. კვირა-დღეობით მეძებნებებს იარაღუკაში გამოაქეთ გასასყიდად, ძებნები, ლორი, თევზული და სხვა, თქმა არ უნდა, რომ კარგს საქა-ნელს ბაზარში არ გამოიტანენ და ნახევარ ფასად არ გაჰყიდიან. უმკვე-ლია, რამდენისამე დღის დანარჩენი უნდა იყოს დუქნებში, რომ ბაზარში გამოიტანონ. ამ საქმელს მეტად ეტა-ნება მუშა-ხალხი და ჯარის კაცი. გირვანქა აბაზიანი, რომ ორ-შაურად იყიდოს, ის მადლიერია, მაგრამ იმას კი არა ჰფიქრობს, რომ ძებნე სურნი სდის, დაობებულია და განგებ ზემო-დგან ლორის ქონით არის გაწმენდი-ლი. ამისთანა საქმლის ხმარებას მცხოვრებლებში სხვა-და-სხვა სენის გაჩენა შეუძლიან.

* * * ქართულთა შორის წერა-გათ-ხვის გამაგრებლებადს საზოგადოა-ბის კანცელარია და წიგნთ-საცავი გადატანილი-იქნა ფრეილინის ქუჩა-ზედ, არწრუნისეულ სახლში, სათა-ვდა-ზნაურა ბანკის სადგომის ქვეშ.

* * * ძალითა წერა-კითხვის გამაგრ-ებლებელ საზოგადოების გამგებობის განჩინებისა 2-3 მარტიდამ ამა წლისა № 26 იბეჭდება საყოველთაო სა-ცნობლად 3—7 მუხლამდე იმ წესდებ-ბისა, რომელიც შესდგა სახელმძღვა-

ნენ ჩვენ. სახლში მარტო ერთი ტეა-ტინი დარჩა, რომ თვალ-ყური დაეჭირა იქაურობაზე, ათასი რამ დავტოვეთ იქ ისეთი, რის წამოღებაც შეუძლებე-ლი იყო, რადგანაც ურმები არა გეკონდა. მე დავტოვე იქ ჩემი წიგ-ნები, უმეტესი ნაწილი ჩემის ქალა-ღებისა და იარაღი მათემატიკურ გა-მაკვეთათათვის. მე მეგონა, რომ არც ოსმალები და არც მეგრელები ამებს ხელს არ ახლებენ-მეთქი. სახ-ლის საყარაულოდ დატოვებული ტეა-ტინი ტყეში გაქცეულიყო, გვეგო, თუ არა, რომ მტერი ახლოაო და მხოლოდ საღამოზედ დაბრუნებული-ყო შინ. მე უკვე ესთქვი, რომ მეგ-რელებისა და იმათ მეზობლების ომი მხოლოდ უეცარი თავ-დასხმა და და ცარცვა არის, რომ ეს ომი დიდ-ხანს არ გასტანს ხოლმე მეთქი. მართ-ლაც ცოტა ხნის შემდეგ მტერი ისევ უკან გაბრუნდა. ამის გამო ყველა სახლში ყოველთვის ერთს ან ორ კაცს სტოვებენ, რომ მეზობლებმა არ მოიპარონ ხორბალი, ლენია და ან სხვა რამე, რის თან-წაღებაც განიზ-ნის დროს არ შეიძლება. ამ ყარაუ-ლებს ხანდისხან მტერი მოასწრობს ხოლმე, თუმცა იშვიათად კი, რად-გან სამალაოდ ძრიელ დიდი და და-ბურული ტყეები ახლო აქეთ.

საცოდავი სანახავი იყო ამ ხალხის განიზნა: დედა-კაცები დატვირთულ-ნი იყვნენ ბავშვებით და ბოჩხებით, კაცები სხვა ბარგით. ერთი საქონელს მიიჩრებოდა, მეორეს ავეჯით საესე ურემი მიჰქონდა გზაზე ჰნახავდით ღონე გამოცილოდ და სიკვდილამდე მიღწეულს სწეულესა, ჰნახავდით

ნელოდ წიგნების მბეჭდვე კომისიის-თვის:

3. ეისაც ჰსურს თავისი შრომა სა-ზოგადოების ხარჯით დაბეჭდოს, მან უნდა წარუდგინოს ეს საზოგადოების გამგებობას, რომელიც გარდასცემს მას თვის კომისიას.

4. ამისთვის ავტორმა უნდა წა-რუდგინოს კომისიას თვისი შრომა და მასთან კონვერტი, რომელზედაც ეწერება შრომის სათაური და რაიმე დევიზი; ხოლო თვით კონვერტში იქმნება მოსწინებელი სახელი, გვარი და აღრესი ავტორისა.

5. თვისი შრომასთან ერთად ავ-ტორმა უნდა წარმოადგინოს ისიც, თუ რა პირობით უთმობს ეს საზო-გადოებას დაბეჭდვის უფლებას.

6. ამ პირობას გამგებობა განსჯის შემდეგ კომისიისაგან თხზულების განხილვისა და დაფასებისა; ამის შემ-დეგ ავტორმა უნდა გამოაცხადოს თვი-სი სახელი და გვარი და ეგრეთვე აცნობოს გამგებობას წერილით თან-მობა ან უთანხმოება იმ პირობაზედ, რომელსაც გარდასწყვეტს გამგებობა.

* * * 22 ივნისს, პოლიციის 9 ნაწილში, თუმანიის ქუჩაზედ, ქუთაისის მარის გლე-ხის ოქრო კობალიძის სახლში ცეცხლი გაჩენილა და ბანი, აივანი და ფანჯრები დაწვერა. ცეცხლი ცეცხლის - მქრობელ გუნდს გაუქვია. ეს სახლი 750 მანათად არის დაზღვეული, ცეცხლის გაჩენის გამო გამოიჭება სწარმოებს.

* * * 22 ივნისს ღამეს, პოლიციის 10 ნაწილში პოლიციის ქუჩის ოღლა ამ-ფინიას სადგომი გაუტყნით ფანჯრიდან, 40 მანათად ღირებული ნივთები გაუტყნიათ და 43 მანათის ნაღდი ფული. დამანაშავის დასაქურდა და დაკარგულის აღმოსაჩენად ღონის-ძიება მიღებული.

* * * 21 ივნისს, პოლიციის 9 ნაწილში, რკინის-გზის ლიანდაგთან ვიღაც მთვრალი

ბებრებს და ჰაწაწებს, რომელთაც სიარული აღარ შეეძლოთ და საწყა-ლობელის გინებით შევლას იხვეწე-ბოდნენ. ეს ზანხილი, მწუხარება და უბედურება მხოლოდ ამ ბარბაროსთ გულს ვერ ალბობდა. მართალია, არც მე ვიგრძენ სიბრალული, მაგრამ გულ-ქვაობით კი არა, არამედ იმის-თვის, რომ ჩემმა საკუთარმა უბედუ-რობამ ჩემი ნაირად შემიპყრა, რომ აღარ შემეძლო სხვა შემებრალენინა. ჩვენ გავეხიზნენით ერთ ციხეში, რომელიც ტყეში იდგა. ციხის პატრონს საბათარი ერქვა; ის იყო გამაჰმადიან-ებული და მერმე ისევ გაქართვე-ლებული ქართველი. ის ისე ცბიერი და ავაზაკი არ იყო, როგორც სხვა-ნი. მივედით მისას. ისეთი სა-ფლობი ტალახი და ლაფი იყო გზაზედ, რომ მეგონა ურემი თავის დღეში ვერ გამოატანდა. რამდენ-ჯერმე დავცალეთ და ისევ დაუღდე-ვით ურემსა. იმაზედ აღარას ვიტყვით, რომ ორჯელ კინაღამ არ ჰკილეს ურემი, კინაღამ არ გამკარცეს და არ მომკლეს; ყოველ-დღე ამისთანა ხიფათში ვიყავ. როდესაც ციხეში მი-ვედით, ციხის პატრონმა კარგად მი-გვილო. მმ. ტყატიებმა უთხრეს, რომ მე ისეთი ვინმე ვარ, რომლის დაელება სამაგიეროს გადუხდელად არ დარჩება. იმან დაგვბინავა ერთ ცუდსა და პატარა ქოხში, რომელიც ისევ ფარალადა იყო, რომ მითამ ცის ქვეშ ვდგომილიყავ. ყოველ მხრივ თავზე წვიმა გვასხამდა. მაინც დიდი მოწყა-ლება იყო ამ ქოხის შოენა. კიდევ კარგი, რომ არ გავერიეს სხვათა სა-ცოდავთა შორის, რომელნიც ერთი

კაცი უპოვანია, რომელიც პოლიციის მიყ-ვანისავე უმაღ გარდაცვლილა. მეგდარის გვამი ანაზომიურს კაბინეთშია გაგზავნილი. გამოიჭება სწარმოებს.

* * * წრეულის ქუთაისის სასულიე-რო სასწავლებელში წაწაწავეს გაუ-თავებია სწავლა. ამ ორმოც-და ხუთ-მეტს მოწაფეში მხოლოდ ოცისთვის მიუციათ ნება სემინარიის პირველ კლასში გადასვლისა («მწვემსი»)

* * * ამავე გაზეთში სწერენ: „ათს ივნისს მომხდარს სამეგრელოს სამღე-დელოების შეკრებილებს ქ. ფოთში ერთ-ხმად უარი განუცხადებია ახალ-სენაკიდან ფოთში სასულიერო სას-წავლებლის გადატანაზე“.

* * * გაზ. «ახ. მომხ.»-სა სწერენ ახალ-ციხის მაზრიდან: «10 ივნისს აწუურის მცხოვრებელს მამედ ალი-ბეგ-შარიფ-ბეგ-ზადეს ბაღში ჩხუბი მოუვიდა ღვიძლ მძასთან ისანდერ-თან თუთის ხის გამო და ხანჯალი დასცა მუცელში. საბრალო ისკან-დერმა იქვე განუტყევა სული. 11 ივ-ნისს გომარას სოფლის რამდენიმე მცხოვრებელთა სალა-უბათ-ოლისა, ბეკირ-ანმელსა და სხვათა ჩხუბი მოუ-ვიდათ თავიანთსავე სოფელს მამედ-მიგდელ-სალა-ოლისთანა და სხვებ-თან და ამ ჩხუბში კეტები და ხან-ჯლები იხმარეს. უკანასკნელი დაქრი-ლია რამდენსამე ალაგას.

* * * ამავე გაზეთსა სწერენ თიო-ნეთის მაზრიდან: ხალხს სახადი გა-მოაჩნდათ. ამ სენით სოფ. თოლათ-ში 21 მაისიდან 10 ივნისამდე 22 კაცი გახდა აუად; ამათში ერთი გარ-დაიცვალა და დანარჩენებს კი უკე-თობა ეტყობათ: ამას გარდა სო-ფელთ ჯივაურტარ, თრანს, ხოდუს-ლებსა, გულანოლებსა, გულელებსა

ერთმანეთზედ იყვნენ მიყრილნი უა-ლაგობით. ციხე ხალხით იყო საესე; როცა ჩვენ მივედით იქ, რვა-ასი სუ-ლი იყო, თითქმის სულ დედა-კაცები და ბავშვები.

28-ს გათენებამდის ტყატიების პრეფექტმა დაგვანება თავი და თავის სახლში წავიდა, ეგება რამ ქურკელი და ხორავი მოეტანა იქიდან. მინ-დოდა ამავე აზრით მეც გაეყოლოდი, მაგრამ გათენებას კიდევ ორი საათი უკლდა როცა ის წავიდა. სახლი საუხე დახვედროდა ფაშის და გურიე-ლის კაცებით, რომელთაც დიდი უპა-ტიურება მიეყენებინათ, თავის ჯოხი-თა და კეტებთ ეცემათ. მეინდომე-ბინათ გველოთ ეკლესია რადგა-ნაც ჰგონებოდათ, რომ სახლის ქა-ნება იქა აქეს დამალულიყო. პრე-ფექტს, როდესაც შეენიშნა ეს მტრის გროვა, მარჯვედ გადსროლა ეკლე-სიის გასაღები ჯაგებში და თუმცა ძალიან ძალა დაეტანებინათ, მაგრამ ის თურმე სულ იქნა: მე არა მაქე-სო გასაღები. ბოლოს ოსმალებს ცოტა პატივი დავეძოთ იმის ხარისხის-თვის და მხოლოდ ზოგი რამ ტანისა-მოსი წიერთმით და თან წავიღოთ. მარტო სუბუქი ნივთები და რაც სა-ფასი რამ ეპოვნათ სახლში; ჩემის წიგნების და ქალაღებისთვის ხელი არ ცხლოთ.

29-ს ღამით მისულიყო იქ ერთი მეგრელი კეთილშობილი ოც-და-ათ კაცამდინ მხლებლებით და სუყე-ლაფერი აეკლო. იმას მთლად მოეჩხ-რია ჩემი ოთახი, რადგან ჰგონებო-და, რომ იქ ბევრი რამ მაქეს დამა-ლული; წავიდა ყველაფერი, რაც მე

და სოფის-გორას აედ გახდა 16 კა-ცი 10 ივნისიდან 16 ივნისამდე. ამ 16 კაცშია ორი გარდაიცვალა. სოფ. ახმეტაში ყველი გამოჩნდა, რომ-ლითაც უმეტესს ნაწილად ყმაწვილები ხლებიან აუად.

* * * ამ დღეებში, გაზ. «Нов. Вр.»-ას სიტყვით, პეტერბურგზე გაუვლია ახალ-გაზდა გერმანელს ბუნების გამოკ-ველელს ადოლფ ბერგმანს. ბერგმანს განზრახვა აქვს კავკასიაში ჩამოვიდეს გეოლოგიურ გამოკვლეთათვის. სხვა-თა შორის, მას სურს ბაქო ინახუ-ლოს და შეისწავლოს ენლანდელი მდგომარეობა ნავთის წყაროებისაო

* * * გორის სასულიერო სასწავ-ლების შენობა ისე დაძველებულია, რომ იმაში ყოფნა ნაილაჯობისა: კა-რი და ფანჯარა დაფუტუროებული და დაფრავებულია; ქერი და იატაკი დაძველებული; კედლები ნახევრამ-დე თითქმის მუდამ სველი, ასე რომ ავი სურის გამო ზამთარ-ზაფხულს ადამიანმა, ყოველად შეუძლებელია შიგ დარჩენა. რამდენჯერმე შეაქეთეს, მაგრამ არ დადგა. სამღვდლოებამ გარდასწავიტა და ვუელი გადასდო ახა-ლის სახლის ასამენებლად. გეგმა სახლისა უწმინდეს სინოდში იყო წარდგენილი. ეხლა, როგორც გარდ-მოგცეს სარწმუნო პირთა, სინოდისა-გან დამტკიცებული გეგმა უკვე მიუ-ლიათ და შენობას შემოდგომიდან თუ არა, მომავლის წლის გაზაფხულიდამ მაინც შეუდგებიანო.

* * * ს. ურიათუბანიდამ გვეყენ: „თუმცა კი ხანია, რაც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში სახლებს ტყე, საქონლის პარვა გვესმის, მაგ-რამ ამ ჩვენს ურიათუბანში ამ გვა-

იქა მქონდა, ქურკელი, ყუთები და სახლის ავეჯი, ერთის სიტყვით ყე-ლაფერი, რაც მე და ოსმალებმა დაე-ტოვეთ იქ, როგორც ერთობ მცირე ფასიანი და მძიმე საზიდავი. იგი მეგ-რელი, როგორც ესთქვით, ღამით მოსულიყო. ამ ავაზაკს რადგან არა ჰქონდა-რა, ოთახი გვენათებინა, და-ენტო ცეცხლი ჩემის ქალაღებით და წიგნებით. ვერ-კი დაველოჯა ყდე-ბი, რადგან დავარაყებულები და წარ-წვილები იყვნენ. მე ძრიელ საიშვია-თოდ დავაყდევებინე ჩემი წიგნები პარკიდამ რომ მოედიოდი. იმ წიგნ-თაგან ერთიც აღარ გადაჩა.

30-ს დღით გავიგე ამ გაცარცვის ამბავი და ისე მეწყინა, რომ გამოთ-ქმა არ შემიძლიან. საღამოზედ ერთი ოსმალი ჩაუში მოვიდა ციხეში, სა-დაც მე ვიყავი და აცნობა, რომ ფა-შისაგანა ვარ მოგზავნილი, საბათარ (მე უკვე ესთქვი, რომ ესე ერქვა კეთილ-შობილს, რომელსაც ციხე ეკუთვნოდა) გავიდა ციხიდან ამბავის გასაგებად და ამბავი მოიტანა, რომ ფაშის ლეიტენანტი, რომელიც რუ-ხვის წინა დგას, გაკვირებულია, რა-ტომ საბათარ არ მივიდა იმასთან მორჩილების გამოსაცხადებლად და მისთვის პატივის საცემლად, რადგან სამეგრელო ხონთქარს ეკუთვნის; რომ ფაშას გაცემული აქვს ბრძანება კარ-ვა მოეყარან იმათ, რომელნიც ოსმა-ლებს ემხრობიან და მტრად მოვიდ-ნონ იმათ, ვინც არ ემხრობა. რომ თუ ჰსურს გადაარჩინოს თავისი ქა-ნება, სიცოცხლე, ციხე და რაც იმა-ში არის, უნდა სწრაფად წავიდეს ფაშის ბრძანების მისაღებად. საბათარ-

რი შემთხვევა დღემდის არ ყოფილა. მართალია, რომ აქ ქურდობა წინად ძალიან ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ დღემდის აღუშფოთებლად ეცხოვრობდით, რადგანაც ქურდობა-ავაზაკობა მიუშვებელი იყო. ამ ბო-ლოს დროს კი, საუბედუროდ ჩვენ-და, ხელმოკრედ იჩინა თავი ამ მოე-ღენამ. იწყეს პარვა შინაურის ფრინ-ველენისა საქათმობილად, მარგილე-ბის პარვა ეზოებილად, ევენახების კა-ფეა; წრეულის საქონელს და შინა-ურს ღიღს ფრინველებსაც მიჰყვეს ხელი. თუმცა აქაურმა მოხელემ (მამასახლისმა) კიდევ იცის რამდენი-მე პირი ამ ხელობისა, მაგრამ არა რომელიმე ღონის-ძიება არ იხმარა ქურდების მოსასობლად, ნაპარევის აღმოსაჩენად. არ არის დიდი ხანი, რაც ერთი აქაური მცხოვრების მ. მელიქაძის ევენახი გაიკაფა 10 მარ გი-ლები მოიპარეს ი. ახლავილია.

* * * ჩვენ გვეყენ შემდეგ ამბავსა: „ქ. ქუთაისიდან რვა-ცხრა ვერსის მან-ძილზედ დასაუღეთით მდებარეობს სო-ფელი წყალტუბო. ამავე სოფელში ჩამოდის მდინარე წყალტუბა, რომ-ლის პირზედ დაცემული და განიერი ქალაა: ეს ადგილი უხვად დაუჯილ-ღობია ბუნებას გოგირდის ცხელის წყლებით; ოდნავ რომ ამოჩიქნოთ, ამოჩიქრილებს გოგირდის წყარო და თავისი ორთქლით იქაურს არე-მარეს მორწყავს.

ყოველ ზაფხულობით თითქმის მთე-ლი ქუთაისის გარშემო მცხოვრებნი აქ მ.ოღიან; ყოველ ნაირი სნეული მოღის აქა. ეს პატარა და მშენიერი ქალა ვერც კი იტყვს ხოლმე ხალხსა. ყველა ნაირს ავადობას არა რეგენ ეს თბილი წყლები. ჰქურნავს მხო-ლოდ დასივებულებს, იარას აქრობს მა მიუგო, რომ ფაშას ჩემ ბატონა-და ესთელია, გულით ოსმალი ვარო და არა მეგრელი, მინდოდა კიდევ ესლებოდი ფაშასაო, რა წამსაც გა-ვიგებდი იმის მომხანებასაო და რაკი ეხლა ვიცი, რომ მისი ლეიტენანტი რუხეთან არის, ხვალ დილითვე მი-ვალ მის ბრძანების მისაღებადაო.

31-ს საბათარ ოც-და-ათის შეია-რალბულის კაცით წავიდა ფაშის ლეიტენანტის სანახავად და მიართო იმას ძღვენად ოთხი მონა, ერთი ბა-ლია, თერთი აბრეშუმი, წმინდა სან-თელი და ხორავი. ბანაკში საღამო-ზედ მივიდა. იქ ნახა რამდენიმე სა-მეგრელოს კეთილ-შობილი, რომელ ნიც მისებრ დაჰმორჩილებოდნენ ში-შის გამო, რომ მტერი არ მისული-ყო იმათ ციხეებზედ და არ აეოხრე-ბინა იმათი მამულები. ლეიტენან-ტმა უთხრა, რომ მის ბატონს ხონ-თქარისაგან მიცემული აქვს ბრძანება, დაანგრიოს ყველა სიმაგრეები სამეგ-რელოში, მაგრამ მას თითონ-კი ჰსურს დაცივას იმ მეგობრების ცი-ხეები, რომელნიც დაჰმორჩილდნენ; რომ ხონთქარმა წაართვა მთავრობა ლევანს, რომელიც რუხეშია, და მის-ცა ახალ-გაზდა მთავარს, რომელიც ახალციხეში იყო აღზრდილი; რომ საბათარმა უნდა შეჰფიცოს მორჩი-ლება, მისცეს ერთი თავისი შვილი მძველად და მიართვას ფაშას ძღვენი. საბათარი დათანხმდა ფაშასთვის ძღვენად მიერთმია ათი მონა ორივე სქესისა და სამასი ეკიუ ვერცხლით და აბრე-შუმიით.

გ. ბარნოვი (შემდეგი იქნება)

147

და სხვა ამ გვარებსა. რომ სხვა მავალითებს არ გამოუღდე, მოციყვან ჩემს საკუთარს ავად-მყოფობას, რომლისაგანაც მე სრულიად დამიხსნეს წყალტუბის ცხელმა წყლებმა. სიმართლედ უნდა ვსთქვა, რომ ორი-სამი წლის წინდ მე თითონ ვახდელით ქარებისაგან მივლი ოთხი წლის განმავლობაში დახუთული. ვერა წამალმა ვერ გამკურნა. ბოლოს მივმართე წყალტუბის ტალახიან გოგირდის წყლებს და მე სრულიად განვიკურნე.

წყალი სდგას ოთხ-კუთხს ორმოცეში, ორმოცი კაცის სიმალეზეა გათხრილი, სიგანით ხუთ ექვს საფამდე; ეს ორმოცი მდ. წყალტუბის კიდის ახლოს არიან და ამიტომ წვიმიანა, ან წყლის აღიდების დროს მდინარე და ხსენებული საბანებლის ორმოცი გავრთვებიან და ხელთ დაიჭირონ ხოლომე ქალა-მინდორსა სამი ოთხი ვერსის მანძილზე. წყლის დაკლების შემდეგ ორმოცი პირამდე ტალახით ივსებიან. შიგ ჩადიან სხვადა-სხვა ცხოველები, ახდენენ ორმოცებს, ასე რომ აღნიშნა საბანებლად ევლარ ჩადის. წყლებზე მოსული ხალხის თავი შესაუარაველ აქ სულ იპოვება ოცი—ოცდა ათი უფარვის ოთახები და ერთი უხვირო მიკიტანი. აღვიღად წარმოსადგენია, რა უფადაში იქმნებიან ამ წყლებზე მოსარულე ავად-მყოფნი უსადგომობისა გამო; ცის ქვეშე, გაშლილს ქაობიანს მინდორზე წოლა, რასაკვირველია, არ მოუხდებათ.

ამ სამკურნალო წყლების პატრონებს კარგი შემოსავალი აქვთ; უფრო დიდი შემოსავალი ექნებოდათ, რომ ამ დალოცვილებს წყაროების რიგინად მოწყობაზე ეფიქრნათ. ძნელი არ არის მებატონეთათვის, რომ დააკეთონ სადგურები, ორმოცი სუფთად შეინახონ, რომ პირუტყვები არა ჰქაფავდნენ და ამღვრებდნენ იმათ, თორემ ხალხი ამ ბინძურობას და უსადგურობას მოერიდება და ის მცირე შემოსავალიც, რაც ეხლა მებატონეებს აქვთ, მოაკლდებათ.

დამაკვირდი!

ქალებმა რომ იცოდნენ რა ძლიერი ფარ-სმალა მათს სულში სიწმინდეს და სიმშვიდეს, თავის დღეში სხვა არაფერს ხელს არ მოჰქვიდებდნენ. (ბონინა)

სხვის იდეას, სხვის აზრს არას გვარგებს, თუ არ შევითვისებთ. (პაპინა)

თუ სიღარიბე გაცხადებენ, ნამეტანობა ამოქრანებინებს სოფელს. (ბოლოლი)

მეგობრობასა სიცოცხლე სიყვარულსა მიეც გული, ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღუყვებულად. (გ. ბ. კლინინა)

ძალ-მოკლებულ არს მცნაობა, ვითა მდინარე მდროას; მსხვილს ვით ჩქარმან წყარობას, განსიქოფს მთა და გორას. (გ. გურამიშვილი)

უსავარტო სარკვი მას ჭკვას; ცეტსლს მიუხედა შენ აუდი. (კოსტანკ VI)

ნ ა რ კ ე ე ბ ი

(ჟურნალ-გაზეთებში)

ევროპაში უაზროს ხან ცა მოიწმინდა; დიდმა ქუჩილმა და დრუბლებმა უავდროდ გაიარეს თითქო, რაკი საბერძნეთს პირში ბურთი ჩაუდეს და ცოტად გადვიებული ცუცხელი დროებით ჩააქრეს. მაგრამ პოლიტიკა თავისას არ იძლის; აქა-იქ აბოლდა ცუცხელი ლამის თანდათან გადვივდეს და მთელს ევროპას მოედოს. საფრანგეთი თამამად ღიპარავს და ადარ მალავს მძულვარებას გერმანიის მიმართ; ბედმა ამას არ დააჯერა „რკინის გრაფი“ ბისმარკი; ბავარიის ტახტზე ავიდა პრინცი ლუიგ-ჰოლდი, რომელიც, როგორც ამბობენ, უფრო ავსტრიის მომხრეა, ვინემ გერმანიისა. ახლა კიდევ სხვა სადარდელი გაუჩნდა; გუბერნი „Рукій Курьер“-ი ამბობს:

ის ამბავი, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები პირდაპირ წასვლას მოსინა ჰერცოგინაშია, რომელიც ბერლინის ხელ-შეკრულების ძალით ავსტრიამ დაიჭირა, ძალიან აღონებს ჟურნალ-გაზეთობასა. ბევრი გაზეთები აღარ ჰუარავენ და პირ-და-პირ ამბობენ, რომ ამ პროვინციებს ახლა კი ნამდვილად შეიერთებს ავსტრიას. ზოგიერთის, ძალიან გაურცელებულის გაზეთების აზრით, ავსტრია იმიტომ მოქმედებს ასეო, რომ ჰუიკროსს, აღმოსავლეთზე საქმეები ხელ-ახლად აიწმინდოს ბოლგარიის წყალობითაო.

ავსტრიის ამისთანა თეორი; ბოლგარიის დაუცხრომელი ცდა, რომ თავისი საქმე რაც შეიძლება თავისებურად მოაგვაროს, არ მოასვენებს ამ ქამად გაზეთებს. გაზეთებმა თითქო აფლდო აიდეეს, რომ ევროპას განსაცდელი მოეღოს; თუ ასე დატრიალდა საქმე, იქნება მართლად განსაცდელი არც კი ასცდეს.

გლადსტონი არა სცხრება, ძლიერის ბიჯით მიდის წინ, ანგრევს ეს გასაოცარი მოხუცი მის წინ ამართულს კედლებს; უწმინდეს გზას და კვალს ირლანდიის თვითმმართველობის კანონ-პროექტსა. თუმცა გასაოცარის სიმკაცრით ებრძვიან მოწინააღმდეგე დასთა მეთაურნი, მაგრამ არც გლადსტონი არის განმარტობელი; ამას უდგანან მხარში.

12-ს ივნისს, —ამბობს გაზეთი „Рукій Курьер“-ი, —იყო ღონდონი დიდი კრება ლორდ სენდგორტის თავმჯდომარეობით, რომ გლადსტონის დასს მხარი მისცეს კანდიდატების აღმორჩევის დროს. ირლანდიის დეპუტატმა სკოტონმა კრების წინაშე წარმოსთქვა საუცხოვო სიტყვა; ის ამ სიტყვაში ამბობდა ირლანდიას, რომ მას უნდა თავისუფალი თვითმმართველობა ჰქონდესო.

ამავე დღეს მოწინააღმდეგეებს ჰქონიათ სჯა და ბასი, მაგრამ გლადსტონის ძლიერს და ნათელს სულს ვერა სჭლივს-რა. იგი დაუდალავა სუდით და გუდით, ხოლო ბერიკაცობის მუნდს უდალანა. ამის შესახებ გაზეთს „НОВОСТЬ“-ს ინგლისური გაზეთებიდამ აი რა მოჰქვას:

გაუღილ შაბათს გლადსტონი თავის ცოლ-შვილით და ორის მეგობრით ედინბურგში წავიდა სხვაგან სადარბაზო-

დაო. როცა დაბრუნდა ედინბურგში, იგი ეტლიდამ გადმოვიდა, რომ ფეხით გავლო, რადგანაც კარგი დარი იდგაო. ხალხმა იცნო გლადსტონი და გარს შემოერტყა თვის საყვარელს მოხუცს. ძლიერ-ძლიერით დაახწია თავი აღტაცებულ ხალხს და როგორც იყო მასწრო ეტლში ჩაედგა, ხალხმა არც აქ დაანება თავიო და მიაცილა სადგურამდინ, ძლიერ-ძლიერ მივიდა კარებთან და იქ კიბუხედ ჩამოვდგა. ისე დაიღალა გლადსტონიო, რომ რამდენიმე ხანი იფდა თავის სადგურის კიბუხე, მინამ სულს მოიუწყამდაო.

«МОСКОВЕ. ВѢДОМОСТЬ»-ები ძლიან დაუდონებია რკინეულობის წარმოების დაცემას ურადზე.

«ურადზე, როგორც გაბატონებულს, ჩვენ დიდი უხედურობა მოგვეღიოსო. რკინეულობის მკეთებელი ქარხნები იკეტება, ზოგან წარმოება მცირდება, მაშინ როდესაც დიდ-ძალი ხალხი ირჩენდა იქ თავს მუშაობითაო. ხალხს უხედურობა მოეღოს, თუ ჩვენი რკინეულობის საქმე მაკარიის იარაღებზე ცუდად წავაო. საქმე იმაშიაო, რომ უცხოეთებში რკინეულობაზე ძალიან ძირს დასწიეს ფასები; ჩვენი წარმოება ამის გამო დაცა და ხარფს ვეღარ აყენებსო. ფასები იმიტომ დასწიეს იმათაო, რომ ჩვენებური რკინეულობის ქარხნები დაიკეტოსო და მერე ისევ ასწიონო».

გაზეთის განმარტება ის არის, რომ უცხოეთიდან შემოტანილს რკინეულობას უფრო მომეტებული ბიჯი დაადონ, ვინემ ეხლას; ეს ვითომ უმველის, თვინე წამაყენებს ურადის რკინეულობის წარმოებასა.

რა ხანია რაც ციმბირის უნივერსიტეტზე ღიპარავდნენ. ბოლოს, როგორც იყო უკვლავ შეამზადეს და წლიურად სრული იმედი ჰქონდათ, რომ ეს უნივერსიტეტი გაიმართებოდა. მაგრამ, ეტყობა, ეს უნივერსიტეტი რადაც შავ ბედზეა დაბადებული. ესლს კიდევ ჩაიშალა ამ უნივერსიტეტის საქმე და ვინ იცის, რადის ედირსება ხელ-მეორედ განახლება. რა იყო მიზეზი, რომ ამ უნივერსიტეტის საქმე ასე უკუდმა დატრიალდა? ათასგვარი დაბრკოლება აღმოჩნდა. მიზეზად ის წამაყენეს, რომ ციმბირის უნივერსიტეტში პროფესორებად არავინ მიდისო. ბოლოს კიდევ ის დაბრკოლება გამოატყვირინეს, რომ ციმბირის უნივერსიტეტს საკმაო მოსწავლე ახალ-გაზდობა არ ეყოლებოა. გაზეთი „Сибирскій Вѣстник“-ი, როგორც ერთგული მომხრე და მოსარჩლე ციმბირის ინტერესებისა, ამტკიცებს, რომ უკვლავ ზემოდ მოაყვანილი საბუთი უნივერსიტეტის წინააღმდეგ უსამართლოა და უსაფუძვლოა. გაზეთი იმის შესახებ, ვითომ ციმბირის უნივერსიტეტს საკმაო სტუდენტობა არ ეყოლება, მემდეგ შენიშვნას იძლევა:

ჩვენ უნივერსიტეტი ისე გვაქვს წარმოადგენილი, რომ უფოდ ბლომა ხალხი უნდა იყოს. უნივერსიტეტები ასე იმიტომ გვაქვს წარმოადგენილი, რომ დიდ ქალაქების უნივერსიტეტებში ათასობით ითვლებას ტუდენტობა. ეს მართალია, მაგრამ ისიც რომ მართალია, რომ ამასთანავე ბევრი წერილობითი უნივერსიტეტიც არის, როგორც ჩვენში ისე სხვა ქვეყნებშიც, და ამ უნივერსიტეტებში ხუთჯერ და ათჯერ ნაკლები მოსწავლე ახალგაზდობა ითვლება, ვიდრე დიდო-

ნებში, მაგრამ ამათაც დიდი სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისთვის. მაგალითად; ამერიკის ერთს უნივერსიტეტში სულ 400 კაცი ითვლება; გერმანიის და შვეიცარიის უნივერსიტეტებში უნივერსიტეტებში ითვლება: კილისსაში—445, ბერნისაში—426, ბაზელისაში—345, მუნსტერისაში—340, როსტოკისაში—250 სტუდენტიო.

გაზეთი გამოანგარიშებით ამტკიცებს, რომ ციმბირის უნივერსიტეტს პირველ ხანებშივე 250 მოსწავლე ახალ-გაზდობა ეყოლებოა, მამასადამე უნივერსიტეტი ამ მხრივ ვერ დაბრკოლდებაო.

მამ ეტყობა, ჩვენში რომ იტყვიან—„მიზეზ-მიზეზსა...“, ასე უნდა იყოს ციმბირის უნივერსიტეტის საქმეც...

უცხოეთი

გლადსტონის სიტყვა ედინბურგში. (შემდეგ*)

„ამბობენ, რომ ჩამურღვეს უნდადა თავისის პროექტით დაკარგებისა ცეტრალური რიგა დიდის ადმინისტრატურის უფლებითა და მოქალის ირლანდიისათვის მიეცაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროექტი ჩამურღვევისა კი არ იყო, პარსელისა იყო. სოლო პარსელმა იმიტომ შეიქმნა ეს პროექტი, რომ უკეთესს ანს მოქალაქე ტორიების მთავრობისაგან, მემრე მამის, რაცა ლორდს სხესურს ჰქვიცხვდნენ, გარჯად ვერა ჰმარტავ ირლანდიას (ისმის ტამის ცემა). მერე რაკი გადასწვდა, რომ ძალ-მომარობის განხუბი აღარ უნდა დაწესებულიყო, პარსელმა პარლამენტზე ჩამოაგდო ღაპარაკი. მე არა ვიცი, ვინაა მისი მიზანი. მე ვამბობ მოსოლო, რომ ეს პროექტი პროექტი იყო, რომელსედაც ჩამურღვენი თანხმა შეიქმნა. შემდეგ, ამ წლის დამდეგს, ჩამურღვემა მეტი მოითხოვა. მან სთქვა, ვითომ ჩვენ გვინდა ჭედრანცა ვრცელისა და დიდის საფუძვლითაო. მე ავსენი საზოგადოებათა შინადაცა, რომ ჩვენ ჩვენის პროექტით ორის ნაბიჯით დაუჯანჯვრით ფედერაციას (სმინა იყოს, სმინა! და ტამის ცემა ისმის). სწორედ ორის ნაბიჯით, ესე იგი, ჩვენ ორი ისეთი სავანი წარმოავადენით, რომელიც აუცილებლად საჭიროა ეოკელის ჭედრაციის თაობაზე შედგენილის პროექტისათვის. რაცა ჩამურღვემა სთქვა, რომ ჩვენ უნდა ვსცდეთ და დაავსეთ ჭედრაციის ვრცელისა და დიდის საფუძვლითაო, მან არ იცოდა, რას ამბობდა. ვერ სამ სთქვა ვრცელისა და დიდის საფუძვლითაო, მერე იმევე სესისაში ისეთი რამა სთქვა, რომ ვრცელი და დიდი საფუძველი კი აღარ გამოვიდა, მეტად მოკლე და პატარა გამოდგა (სმა-მადლა სიცილი ასტყვდა მსმენელთა შორის). მან სთქვა, რომ ყველაზე კარგი იქმნებოდა, დაგვექმნებინა ირლანდიაში რამდენიმე სათემო რიგა, რათა ამით გზა გაგვესხნა იმ სურვილისათვის, რომელსაც ლორდ კანარტონი ერცხუნულს სურვილს ექსისო, ასე უკედ რომ ვსთქვათ, რათა გზა შეგვეკრა იმ სურვილისათვის, დაგვემცეცეცებინა პატარა-პატარა ნაჭრებად, ისევე, როგორც გაცეს ანობენ, აწამებენ, ოთხსადა სწვანათა. (სმის სიცილი და ტამის ცემა). როგორც ჰხვდავთ, მისტურნი ჩამურღვენი, სან მადლა შეითვისინალებს ტორიანსავით; სან სულ ძირს დაჭერიანას, თითქო მერცხლისაო. (სიცილი და

ტამის ცემა). სოციერთ პატონების აზრით, მე არა მამეს ნება ვიღაპარავო ჩამურღვენი. რადგანაც აქ არა ბისადება დაჭრუშენებთ, რომ მე ამსვე გამოადი იმ.სთანაც დაურადებულად, და თუ საჭირო იქნება კიდევ, პარსელს გეტყვი. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ვითომ სავად დაგმოტყვიეთ, რა ნაყოფიერი აზრები აქვს ამ შეთანხმავის ტყუის კაცსა; არა, ვერ სუვევალაფერი არ ჩამოძიეთლია: ვერ გუშინაც კი ჩამურღვენი ისეთს ვერაყედ იყო, სცა დაპარავდნენ უნიონების საზოგადოების დასწავლე და თვითმმართველობის პროექტის შედგენაზე ინკლისისა, შოტლანდიისა და ირლანდიისათვის. საწყალი ვაფლასი გამოკლეულ იქმნა, უთუოდ იმიტომ რომ ვაფლისეებს თავინთი განსაკუთრებული ეროვნული თვისებანი აქვთ; ჩემის აზრით-კი, რასან სასწეო გვექმნება ეროვნული თვისებანი, უნდა საზოგადოდ ვვედას შესასკე ვიქონიოთ სასწეო, ვალი-სი იქნება, თუ ინგლისი. სოლო მე ვივიქრობ, რომ შირს წასვლა საჭიროა არ არის ჩემთვის; ვერ-ვერობით სსვა დრეს-თვის გადავსდებ წყმოსკენულ ქვეყნების თვითმმართველობის პროექტების განხილვას; გარან რაცა შეეცება წესს მართვისას, ამ მხრივ ამ სამ ქვეყნის შორის დიდი და სოცდრი გარჩევა; იმ დროს, რაცა პირველი ორი ქვეყანა, ინგლისი და შოტლანდია, კარგად არან მოწყობილნი, მართვაც კარგი აქვთ და საზოგადოდ სრულიად გამოყოფილნი არანს, ირლანდია, როგორც ვეკლა ჭგომბას, მოკლებულია თავდაპირველს საფუძველს განათლებულის ცხოვრებისას. ამის შემდეგ შემიძლიან ვსთქვათ მთავრობის სასელთა, რომ ჩვენ ჩვენი პოლიტიკა ვაქვს და ვგვეღვიმ ვაგვეთ, რის ვაკეთებთ კი შეგვეღვიმ და მსადაც ვართ განკარგვით ვეგვე ვაკეთებელი, ან სხვისანს-გან მადლობით მივიღოთ უოკელიმ, რაც კარგი და საკეთილო აღმოჩნდება. ესლს ნება მიბოძეთ ვკითხეთ: შეუღლიან განა ჩამურღვენი პროექტებს მთავრობის პროექტის მაგიერება ვასწიოს? იმ მანდეს-ტში, რომელითაც მოგმართეთ თქვენ მისში, მე ვღაპარავობდი ვანდგომილ ლიბერლების პროექტების თაობაზე და ისეთს სიტყვებს ვსმარობდი, რომ მე-მისანს, ვი თუ ლორდმა გარტინგტონმა უმართებულად სიტყვებდა ჩასთავლას. მე ვამბობდი იმ პროექტებზე, რომ ოგინი ვოკლებენ კიდევს მეთი, ვუდასც აქთო-იქთ იქვეგენ და უმუშელსავით ქარს მიაქვს და მოაქვს მეთი. (ტამის ცემა) და ეს სიტყვები სწორედ იმ პროექტების შესახად სიტყვები იყო; შეიძლება კიდევ სთქვას გარდა, რომ მე თავდაჭერიათ ვღაპარავობდი. ის სასელები სწორედ შედგამოკრილი იყო პროექტებისათვის, რომელიც წამ-და-უწმ იცვლებოდნენ, ლოპ-უორეს ვეპოდნენ, სრულიად არ ჭგედნენ ერთმანეთს და ქვეყნის წინაშე წარსდგებოდნენ ხოლმე არა არსებითის საჭიროებისათვის, არამედ იმიტომ, რომ მთავრობის პროექტები გაბათილამებულყო.

(შემდეგ იქნება)

წერალა რედაქტორის მიმართ.

თქვენის გაზეთის „ივერი“ № 126-ში, წავიკითხე ბ-ნ ალექსანდრე მანისკოვის წერილი, „პარამიანის“ ხელი-ნაწერიის თაობაზე. ამ ამბის გამო არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ მოგახსენოთ: მე და ილია ქვიონიამ ვითხოვეთ ხელ წერილით ორი ხელთ ნაწერი წიგნი „როსტომიანი“ და „პარამიანი“ ბატონ დავით ამირიძისაგან, „როსტომიანის“ ვარიანტი მე წამოვიღე, რადგანაც განზრახვა მქონდა დამეჭვება, მაგრამ სამ-

წინაროდ ვერ გვიშვეს სრული ვარსკვლავი „როსტომისისა“, და ამირიის წიგნიც სრული არ გამოდგა და ისევ უკან დაუბრუნე. რაც შეეხება „ბარამისის“ ან ილია ქუთინამ წილი სახლი გასაშინებად ამის შემდეგ ქუთინა ოზურგეთს წავიდა და წიგნი თან წაიღო. — ან მისურაძეს ჩემზედ რაღაც ეჭვი შემოაქვს და ბრძანებს, რომ ექ. ხელაძეს მოეხირო წიგნი, მაგრამ „ბარამისის“ ნაცვლად „ბეჟანის“ მაძლედა და თანაც დასქენს, ნუთუ ე. წ. ხელაძე „ბარამისის“ და „ბეჟანის“ ერთმანეთში ვერ არჩევს? გვაგონებს ბ. მისურაძის საქციელი. საიდან მოიგონა ესა და ან რაო შევძლებდი მისურაძეს, ამირიისაგან ნაბრძანად წინგნის? ან რა უკუაა აქ მისურაძე? ამირიისაგან ვითხოვეთ წიგნი, ამირიის უნდა ჰქონდეს ჩვენთან საქმე.

ამასთანავე თქვენს გაზეთის საშუალებით ვსთხოვ ბატონ ილია ქუთინას, რომ დროზედ გამოგზავნოს დავით ამირიძეს, ან მე გამომიგზავნოს გარდასაცემად ის წიგნი და ამასორის ყოველ-გვარ უსიამოვნებას მისურაძესთან.

ექვთიმე ხელაძე.

დეგემა

21 ივნისს

მითაბა. გუშინ 3 1/2 ს. შუადღის შემდეგ მომხდნენ აქ დიდი მოთვარე ვლადიმარ ალექსანდრეს მე მეუღლეთურთ. მათ უმაღლესობათ მიეგებნენ ადგილობრივი მოსახლენი და მართლაც შურ-მართალი, თავდასწრებობამ დადებულ მოგზაურთ ნადიმი გაუძნათ.

კონსტანტინოპოლი. სმეპა, რომ ზორტა თავიანთ ინიტებს ბრძანს ბოლგარის მოთვარის მიერ ხელ-შეკრულბობათ დარღვევას გამო; ზორტა ცინკულისანს გაუგზავნის ხს-ხელშეწყობათ და ამ ცინკულისანში აქნება გამოცხადებულა, რომ იგი მხად არის ხსა ხსხელშეწყობათან ერთად იმეჭქედან და ძალა დაატანოს ბოლგარის მოთვარის დაიცვან ხელ-შეკრულბობანი.

ლონდონი. შუადღემდინ აღმორჩეულ იქმნენ: 112 კანსერვატორა, 16 მოწინააღმდეგე ლიბერალი, 31 გლადსტონის მომხრე და 9 ზანრეულია.

22 ივნისს

პეტერბურგი. ოქტობრისა და მტკიცად, რომ დაბლადაცურა ატენტა ბოლგარიაში კოანდერია დანაშინა დიბლადაცურა ატენტადგე ეკვიტეტა.

21 მაისიდან 20 ივნისამდე მოსკოვში 11 კაცი გამხდნარა ავად სტრამაქისა და ნაწლეუბის ხეულებათა და 2 უკვე მომკვდნარა. თუძეს ამ ხესს გადაძებია თვისება ან ეტყობა, მაგრამ მანინტ კენარლ-გუბერნატორმა მისწერა ქალაქის თავს, რომ ბატონი ოლდოვკური სადგომა გაიმართოსა შესაბამ გამოძიებათათვისა.

რიბა. დღეს დღითი მომხდნენ აქ დიდი მოთვარე ვლადიმარ ალექსანდრეს მე მეუღლეთურთ. რკინის ტრასს სადგომს მათ უმაღლესობათ მიეგებნენ მოთვარის წარმომადგენელნი და ხსხგადახსხგა დეპუტაციები. მათი უმაღლესობანი ბრძანდებოდნენ საკრებულა ტამარში. შემდეგ ინახულეს მომსახლენი დღეს-მე დიდი მოთვარე ინახულეს აქაურ

სამხედრო და სამოქალაქო დავებზე ბულებათა.

სოკი. მოთვარობამ წარუდგინა კრებას ბრექტი 38 მილიონ დრანკის ხესხობისათვის. სამინისტროს ეოფან უმწვერვალესად გაჭირვებულად. სმეპა, რომ ხაერთ კრება დათხოვნილი-იქმნება.

ლონდონი. გუშინ სადამდე აღჩეულ იქმნა 123 კანსერვატორა, 20 მოწინააღმდეგე ლიბერალი, 43 მომხრე გლადსტონისა და 19 ზანრეულია.

23 ივნისს

ათინა. საბერძნეთის დედოფალი ქალით და უმცროსი ვაჟით ოდესით პეტერბურგს წამხდნა.

ლონდონი. 174 მოწინააღმდეგე კანდადატი უკვე აღმოჩნებულათ, ხოლო სამინისტროსა კა 71.

რომი. ხოლერა გენერალში თითქმის შესწყდა, ხოლო ღატანისა და ფრანკოვალბაში გუშინ ახზე მეტა გახდნა ავად ამ ხენითა.

საქალმწიფრო სნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპე (1886) წელიწადი. ქვეყნის შექმნილამ 7394. პველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოტ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი — მ=42 წელიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ. 1886 წლის ზედნადები—3.

ივნისი 30 დღით არის.

24 დღე ხამშბათი. შობა წმიდისა ნათლის-მცემლისა იოანე წინამორბედისა, კათ. შობა წმ. იოანესავე; სომეხთა: წმ. კოსტანტინე მეფისა, დედისა მის ელენესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—27. ტფილისში შუე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მოვარე ამოდის 10—0, ჩადის 10—32 დ.

25 დღე ოთხშაბათი. ქალწულ-მოწამე თებრონიასი. სომეხთა მარხვაა. კათ. ეპისკოპ. პროსპერისა და აბაბტის ვილჰელმისა. მუსულ. მე-5 დღე თთებისა შუადღე 1303 წლის ჰიდრისა. საქართველოში გაჩნდა უამი, შემდეგ მთებში გადავიდა და იქიდან კიდევ რუსეთში მოხლოიკენ. ყველაგან საშინლად მძებნარებდა, მეტადვე ყაბარდოში, საცა 3/4 მკვდრთა იმსხვერპლა 1803 წელს. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—31; ტფილისში შუე ამოდის 4—32; ჩადის 7—37. მოვარე ამოდის 11—7; ჩადის 11—8 დ.

26 დღე ხუთშაბათი. დავით თესალონიკელისა. სომ. წმ. თეოდოტონ, თალილა; 7 ქალწულთა. მარხვაა. კათ. იოანესი და პავლესი. შობა მათ. უმაღ. ალექსანდრა იოსიფოვსისი. მოვარე 7 დღისაა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—4—47. ტფილისში შუე ამოდის 4—32; ჩადის 7—36; მოვარე ამოდის 0—10; ჩადის 11—42.

27 დღე ზანახვევი. ღირსისა გიორგი მთაწმინდელისა საღმთო წერილის მთარგმნელისა ქართულად 1066 წ., სომეხ. ნახატონაქი, კათ. ვლადისლავისა. ალექსანდრესისა და დატყვევება ოსმალოების სერასკერისა 1829 წ. კავკასიის გოგრაჭ. საზოგადოების განყოფილების დაარსება 1850 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—56. ტფილისში შუე ამოდის 4—34; ჩადის 7—36. მოვარე ამოდის 1—21; ჩადის 11—42.

28 დღე შაბათი. აღმოყვანება ნაწილია წმ. სავიერველ-მოქმედისა კვირის,

იოანე, პავლე მურნაღლისა, სომ. ჰოვან ნაწილია წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებლისა. ერევნის ღაშაქარმა დაამარცხა 13 ათასი კაცი ოსმალოთა დარისა; ეს ვარი 23 გარს ერუტა ბაიზეთს. ამ გამარჯვების გამო განთავისუფლდა თავ-განწირული მეციხვანთა რაზმი, 1877 წელს. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—4. ტფილისში შუე ამოდის 4—24; ჩადის 7—36. მოვარე ამოდის 2—24; ჩადის 0—17 ნღ.

განცხადებანი

მისაც მსუსხ ხუთ-სარტებლოანი სახელმწიფო მომეტი ბოლოთი 1 სესხისა შეიძინოს ფახა-კა წვრილ-წვრილად გადასახადს და მახა ბალეოთი ჩაგარდეს თამაშობაში 1 ივლისს, ესთხოვთ მოგვებართის მს ივლისამდე. შემდეგის თამაშობის ბილეთებისათვის 1-ისა და 2 სესხისა ყოველთვის შეიძლება მოგვებართთან. ბილეთის სურდის ამბავს ღვეშით ვცნობებთ ხოლო პეტერბურგის საბანკოთა სახლის ხარჯთა ბილეთის დასტევა ჰქონს 45 კაბ. ქალქ ვარემ მცხოვრებთ ესთხოვთ მარკები გამოკვანონ ხოლომე ავტურ პეტერბურგის საბანკოთა ფორმისა „ბ. ბლოკ-კაბ. მალიოვი“. ტფილისი, გოლოციონის პრის-პეტრი, ივერის, მლაზია. (1—1)

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულთა ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულთა ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე 24 § ძალით, მოხდება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ქვემო მოყვანილთა ბანკის მოვალეთა მამულებზე: ქუთაისის გუბერნიის და ქ. ახალციხის მამულებზე ქუთაისის საადგილ-მამულთა ბანკის სადგომზე 25 ივნისს ამა 1886 წლისა, 12 საათზე დღით, ხოლო თბილისის გუბერნიის მამულებზე (გარდა ახალციხისა) თბილისის საადგილ-მამულთა ბანკის სადგომზე 28 იმავე ივნისს, დღით 12 საათზე.

ვაჭრობა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებზე, რომელთა მებატონენი, თანამად ბანკის წესდების მე 19 §, შეავებენ ბანკის გადასახადს და განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუესებელის ვარდასახადისა, მამულის ვასასყიდლად დანიშნეზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებთან სახელდობრის ფასისამებრ მანეთი მანეთად, და აგრეთვე შეიძლება ვადატანილ იქმნენ მსყიდველზე; ხოლო ვადაზე ვადასახადი და სხვა ვგარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ ვასასყიდლეთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

7/12 წლიანნი სხსნი ქ. ქუთაისს. გიგელაშვილისა, ანტონ სიმონის ძის: ბალახანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა

439 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 743 მან. 71 კაბ., შესავ. ვადასახ. 123 მან. 75 კაბ.,—სულ 867 40 კაბ.

მუშლაძისა, გარსევან დავითის ძის: ბალახანის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 328 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3,466 მან. 47 კაბ.; შესავს. ვადასახ. 410 მან. 19 კაბ.;—სულ 3.876 მან. 66 კაბ.

წერეთლისა, დავით ბეჟანის ძის: ბალახანის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 197 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 7.065 მან. 10 კაბ., შესავს. ვადასახადი 794 მან.,—სულ 7859 მან. 10 კაბ

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 195 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 6278 მან. 81 კაბ., შესავ. ვადასახადი 799 მან. 65 კაბ.,—სულ 7,078 მან. 46 კაბ.

აბაშიძისა, გიორგი ივანეს ძის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი სარდაფით, ბალით და მიწა 1.314 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 24,236 მან. 50 კაბ., შეს. ვადასახ. 2363 მან. 51 კაბ.;—სულ 26.600 მან. და 01 კაბ.

ოცხელისა, პავლე სერგეის ძის: ფრანგების ქუჩაზე ქეთიკორის სახლი და მიწა 150 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 4.140 მან. 17 კაბ., შესავს. ვადასახ. 461 მან. 23 კაბ.,—4601 მან. 40 კაბ.

ტიბგელისა, ივანე ივანეს ძის: ტაიგელის შესახვევში ორ-სართულიანი ხის სახლი, ბალით და მიწა 1300 კვადრ. საყ.; 3.312 მან. 18 კაბ., შესავს. ვადასახ. 521 მან. 52 კაბ., სულ 3.833 მან. 70 კაბ.

ჩარქეოვისა, პეტრე იოსების ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა 95 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2.019 მან. 72 კაბ., შესავს. ვადასახ. 225 მან. 86 კაბ.,—სულ 2.245 მან. 58 კაბ.

ქ. ახალციხეს. ოჯიბიანცისა, ვახაროს სერგეის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქეთიკორის ლუქნები და მიწა 8 1/2 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 762 მან. 81 კაბ., შესავს. ვადასახ. 67 მან. 75 კაბ.,—სულ 830 მან. 56 კაბ.

არუთინოვებისა, ოგანეს და ვართან კირაკოზის ძეთა: ხაანის და ალექსანდრეს ქუჩებზე ერთ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და ვერეთე ლუქანი და მიწა 47 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1733 მან. 24 კაბ., შესავს. ვადასახ. 135 მან. 90 კაბ.,—სულ 1.869 მან. 14 კაბ.

ქ. თბილისს. შირიავეისა, ივანე მიხაილის ძის: II განყოფილებაში, VIII ნაწილში, ჩუღურეთში, ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი სარდაფით და მიწა, 149 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 11.592 მან. 65 კაბ., შესავს. ვადასახ. 1375 მან. 10 კაბ.,—სულ 12.967 მან. 75 კაბ.

ოძელაძისა, ნინო ივანეს ასულისა I განყოფილებაში, I ნაწილში ოლგას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქეთიკორის სახლი და მიწა, 200 კვ. საყ.; თავნი ვალი 9532 მან. და 76

კაბ., შესავს ვადასახადი 871 მან. და 54 კაბ.,—სულ 10.404 მან. 30 კაბ.

43 1/2 წლიანნი სხსნი.

თბილისის გუბერნიისა და მახივე მახრახის.

მდალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვანის ავარში სახნავ-სათესი. საძოვარი და ტყე 141 დესიატ. 1720 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1935 მან. 99 კაბ., შესავს. ვადასახ. 155 მან. 22 კაბ.,—სულ 2091 მან. და 21 კაბ.

ქ. ქუთაისის უეზდისა და მახივე მახრახის.

ქაჯიასის, გიორგი ტარიელის ძის: სოფელს ჭავანს ეო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 7 დესიატ. 800 კვ. საყ.; თავნი ვალი 847 მან. 25 კაბ., შესავს ვადასახ. 56 მან. 47 კაბ.,—სულ 903 მან. 72 კაბ.

ქორქაშვილისა, ანა რევზის ასულის: სოფ. ბაშს და ფარცხანაყანეს სახნავ-სათესი 21 დესიატ; თავნი ვალი 385 მან. შესავ. ვადასახადი 40 მან. 70 კაბ.,—სულ 425 მან. 04 კაბ.

ჩხეიძისა, ევგენი ნიკოლოზის ასულის: სოფ. ფარცხანაყანეს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 36 დესიატ. 576 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,419 მან. 92 კაბ., შესავს. ვადასახ. 174 მან. 64 კაბ.,—2594 მან. 56 კაბ.

ასათიანისა, ბიქია დავითის ძის: სოფ. ზემო-ქეთიკორის ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 3 დესიატ. 1455 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 675 მან. 09 კაბ., შესავს. ვადასახ. 57 მან.,—სულ 732 მან. 09 კაბ.

მიქელაძისა, ივანე ნიკოლოზის ძის: სოფ. კულაშს ეზო და სახნავ-სათესი 5 დესიატ. 1500 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 968 მან. 01 კაბ.; შესავს. ვადასახ. 73 მან. 47 კაბ.,—1041 მან. 48 კაბ.

მუსხელიძისა, ანა ბესარიონის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკორის სახლი, ლუქნებით, და მიწა 30 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 13.248 მან. 60 კაბ., შესავ ვადასახ. 1402 მან. 73 კაბ.,—სულ 14.651 მან 33 კაბ.

შორაშნის მახრახის.

კაპანაძისა, ივანე სესიკას ძის: სოფ. ტულაპის-ვაკის ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 2 დესიატ. 912 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 189 მან., შესავს ვადასახ. 24 მან. 35 კაბ.,—სულ 213 მან. 45 კაბ

ხენაკის მახრახის.

მიქაძეთა, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის: რამინ და ბეჟან სიმონის ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის ძეთა და ევატერინა პეტრეს ასულის: სოფელსა ჭალადის სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 750 დესიატინი; თავნი ვალი 14,244 მან. 11 კაბ., შესავს. ვადასახადი 898 მან. 37 კაბ.,—სულ 15.142 მან. 48 კაბეკი. (1—1)